სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ კეხიჯვარის საჯარო სკოლის
------ კლასის მოსწავლის ---------- მშობლის

პ/ნ----------

პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე წერილობითი თანხმობა
(16-18 წლამდე)

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ კეხიჯვარის საჯარო სკოლა ამუშავებს პერსონალურ, მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის მქონე პერსონალურ მონაცემებს. წინამდებარე დოკუმენტში, დეტალურად ჩაშლილია ის პერსონალური მონაცემები, რომელთა დამუშავებაზეც საჭიროა თქვენი თანხმობა.
გთხოვთ, მონიშნოთ აცხადებთ თუ არა თანხმობას ქვემოთ მოცემული პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე. ამასთან, გაითვალისწინეთ, რომ რომელიმე პერსონალური მონაცემის დამუშავებაზე უარის თქმა არ გამოიწვევს მოსწავლისათვის საგანმანათლებლო სერვისის მიწოდების შეფერხებას.

განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემის - ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება

სკოლა ამუშავებს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემს - მოსწავლის ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციას. აღნიშნული ინფორმაციის დამუშავების მიზანია მოსწავლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის დაცვა. მნიშვნელოვანია სკოლას გააჩნდეს ინფორმაცია აქვს თუ არა მოსწავლეს ქრონიკული დაავადება ან ალერგია, რათა საჭიროების შემთხვევაში მოხდეს სკოლის ბაზაზე სკოლის ექიმის/ექთნის მხრიდან შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, საჭიროების შემთხვევაში, სწორი პირველადი დახმარების აღმოჩენა ან ეპიდემიის/გადამდები დაავადების გავრცელების თავიდან აცილება.

☐ თანხმობას ვაცხადებ, ზემოაღნიშნული მიზნებისთვის, სკოლამ დაამუშაოს ჩემი შვილის პერსონალური მონაცემები შემდეგი გზებით - შეგროვება, შენახვა, გადაცემა (გადაცემის შემთხვევაში გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევის ან ეპიდემიის/გადამდები დაავადების გავრცელების თავიდან აცილების მიზნით);

☐ უარსვაცხადებ, ზემოაღნიშნული მიზნებისთვის, სკოლამ დაამუშაოს ჩემი შვილის პერსონალური მონაცემები შემდეგი გზებით - შეგროვება, შენახვა, გადაცემა (გადაცემის შემთხვევაში გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევის ან ეპიდემიის/გადამდები დაავადების გავრცელების თავიდან აცილების მიზნით);

ხელმოწერა _____ თარიღი: _____

მნიშვნელოვანი ინფორმაცია!!!

- *სკოლა უზრუნველყოფს მის მიერ დამუშავებული პერსონალური მონაცემების დაცვას.*
- *უფლება გაქვთ მიიღოთ ინფორმაცია თქვენს შესახებ დამუშავებულ მონაცემთა თაობაზე, მოითხოვოთ ასლის გაცემა, ასევე, მცდარი, არაზუსტი ან/და არასრული მონაცემების გასწორება, განახლება ან/და შევსება. ასევე, მონაცემთა დამუშავების დაბლოკვა, გადატანა, გასაჩივრება, შეწყვეტა, წაშლა ან განადგურება. ამ შემთხვევაში მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა სკოლა იღებს ვალდებულებას მონაცემთა დამუშავების შეწყვეტაზე ან/და მონაცემების წაშლა/განადგურებაზე. აგრეთვე, უფლება გაქვთ ნებისმიერ დროს, განმარტების ან დასაბუთების გარეშე იმავე ფორმით რა ფორმითაც განაცხადეთ თანხმობა გამოიხმოთ იგი. (პირდაპირი მარკეტინგის მიზნით მონაცემთა დამუშავებისას, სუბიექტის მოთხოვნის მიღებიდან გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 7 სამუშაო დღისა).*
- *თანხმობის გამოხმობამდე თქვენ უფლება გაქვთ, სკოლას მოსთხოვოთ და მიიღოთ ინფორმაცია თანხმობის გამოხმობის შესაძლო შედეგების შესახებ.*